ავტობიოგრაფია

მე, სალომე გველესიანი, დავიბადე 1990 წლის 11 აგვისტოს ქ. ჭიათურაში.

2007 წელს - დავამთავრე ქ. თბილისის №133 საჯარო სკოლა.

2012 წელს - დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მომენიჭა სამართლის ბაკალავრის ხარისხი.

2015 წელს - წარჩინებით დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მომენიჭა სამართლის მაგისტრის ხარისხი.

2012-2013 წლებში - იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი და 2013 წელს მივიღე შესაბამისი სერტიფიკატი.

2012 წელს - ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.

19.11.2014-14.01.2015 წლებში - ვმუშაობდი რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სხდომის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად.

14.01.2015 – 03.08.2016 წლებში - ვმუშაობდი რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სხდომის მდივნის თანამდებობაზე.

03.08.2016 – 10.10.2016 წლებში - ვმუშაობდი რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მაგისტრის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე.

10.10.2016- 18.03.2019 წლებში - ვმუშაობდი რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მაგისტრის თანამდებობაზე.

2018 წელს - ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით და მივიღე შესაბამისი სერტიფიკატი.

2018 წელს - გავიარე მედიატორის ტრენინგი და მივიღე მედიატორის სერტიფიკატი.

18.03.2019 – 18.01.2020 წლებში - გავიარე სამოსამართლო კანდიდატების მომზადების 10 თვიანი სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

2020 - 2021 წლებში ვმუშაობდი რუსთავის საქალაქო სასამართლოს დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) და რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დაკისრებული მქონდა რუსთავის საქალაქო

სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტის, მოსამართლის მწერალი თანაშემწის მოვალეობა.

2021 წლის მარტიდან 2021 წლის ივნისამდე - ვმუშაობდი რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მაგისტრის თანამდებობაზე.

2021-2024 წლებში ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

2024 წლის ოქტომბრიდან ვარ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

მყავს მეუღლე და ერთი შვილი.